საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ივერი აბაშიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**19**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**
წერის უნარი	**19**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**3**	**5**
პროფესიული აქტივობები	**2**	**5**
ქულათა ჯამი	**90**	**100**

სახელი, გვარი: ლევანი თევზაძე

თარიღი: 27.06.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

27 ივნისი, 2025 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ივერი აბაშიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ივერი აბაშიძე.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2025 წლის 5 ივნისს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე, შეევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 48 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბათუმის სამართლის ინსტიტუტი). სპეციალობით მუშაობს 20 წელია, მათ შორის - მოსამართლედ, 7 წელზე მეტია. კერძოდ:

- 2005-2011 წლებში მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში - მოსამართლის თანაშემწის, საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის და მენეჯერის თანამდებობებზე;
- 2011-2018 წლებში იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს მენეჯერი - საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი;
- 2016-2017 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი;
- 2018 წლის 18 იანვრიდან დღემდე მოსამართლეა, კერძოდ - უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოში, ამასთან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულებით 2024 წლის 29 ივლისიდან გამწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ და დაეკისრა ამავე კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, 2019 წლის 5 ოქტომბერს და 2022 წლის 23 ოქტომბერს, არჩეულ იქნა საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობის წევრად.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

ივერი აბაშიძის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის, მისი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების, ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობის და საქმიანობის შესახებ. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხები, დადებითი საკრედიტო ისტორიით. კანდიდატის საკუთრებად რეგისტრირებულია საცხოვრებელი ბინა თბილისში და თანამესაკუთრეა ორი მიწის ნაკვეთის, შუახევის მუნიციპალიტეტ სოფელ ქიმინიძეებში. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილი

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

ივერი აბაშიძეს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოთხი ფაქტი. დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად. ასევე კანდიდატის მიმართ შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოთხი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. ჯარიმები გადახდილია დროულად.

კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა ერთ დასრულებულ სამოქალაქო კატეგორიის საქმეში. კერძოდ: მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ივერი აბაშიძე, დავის საგანი: უზრუნველყოფა სარჩელის აღძვრამდე, ბათუმის საქალაქო სასამართლო. განჩინებით განცხადება დაკმაყოფილებულია.

კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატს საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 94.3% შემთხვევაში; ასევე - საქმეთა 100% შემთხვევაში აქვს დაცული გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადებიც; მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 83.6% შემთხვევაში.

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ ორ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები.

კანდიდატი ხშირად მონაწილეობდა სასწავლო ხასიათის ღონისძიებებში (მაგ: 2023 წლის 31 მარტი - 2 აპრილი, ახალციხე, ევროპის საბჭოს ოფისთან (CoE) თანამშრომლობით ევროპის სოციალურ ქარტიასთან დაკავშირებით მოსამართლეებისათვის დაგეგმილი სემინარი; 2023 წლის 28-30 ივნისი, კომპლექსი ლიპოტა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა; 2023 წლის 14-16 ივლისი, კახეთი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის" (GIAC) ორგანიზებითა და აშშ-ს კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა - „ინფრასტრუქტურული პროექტებიდან წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების - დავების გადაწყვეტის მექანიზმების სპეციფიკა - ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტივები"; 2023 წლის 6-8 დეკემბერი, წინანდალი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა; 2024 წლის 30 ნოემბერი - 01 დეკემბერი, თბილისი, გაეროს

ლტოლვილთა სააგენტოს (UNHCR) ტრენინგი - „ლტოლვილთა სამართალი"; 2025 წლის 4-6 აპრილი, ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა და ა.შ.).

კანდიდატს 2012 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. ასევე ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს რუსულ ენას.

3. ***კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:***

საჯარო მოსმენისას ივერი აბაშიძეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები უმეტესწილად იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხუთივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა, დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ე) ფინანსური ვალდებულება - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

ბოლო სამი წლის განმავლობაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს", როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. გარდა ამისა, „ორგანული კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული

მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას), სიმართლისმოყვარეობა და სხვა) მოიცავს. ვინაიდან სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს, არ გამაჩნია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატი გამოირჩევა პრინციპულობით და სამართლიანობით, გააჩნია პიროვნული სიმტკიცე და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, აქვს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არის თავდაჭერილი და კორექტული კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, აქვს ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკას, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი. ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატი ხასიათდება მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაციით, ამასთან სარგებლობს ავტორიტეტით, როგორც სასამართლოს კოლექტივში, ისე იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ფინანსური ვალდებულების" მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს სრულად აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ **კანდიდატი ოვერი აბაშიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული ცოდნა. შესაბამისად, კანდიდატი, საჯარო მოსმენისას გამოვლენილი ხარვეზების შემოხვევების და კითხვების სირთულის გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს **19 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატს გააჩნია კარგი ანალიტიკური აზროვნება, სწორად ხედავს სამართლებრივ პრობლემებს და აქვს მისი გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთის, მართებული გამოსავლის პოვნის და მისი დასაბუთების უნარი. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია. კანდიდატმა წარმოადგინა ორ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა გაანალიზებით დგინდება, რომ კანდიდატი ხანდახან იყენებს რთულ წინადადებებს, რაც გადმოცემული აზრის სათანადოდ აღქმას აძნელებს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით

გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატის მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია, თუმცა ზოგჯერ უშვებს პუნქტუაციურ შეცდომებს, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატი გამართულად მეტყველებს, ლოგიკურად აკავშირებს ერთმანეთთან ფაქტებსა და გარემოებებს, სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით. საჯარო მოსმენისას დასმულ შეკითხვებს კანდიდატი პასუხობდა ნათლად და გასაგებად.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატი გამოირჩევა მიზანდასახულობით, პუნქტუალურობით, შრომისმოყვარეობით, დამოუკიდებელი აზროვნებისა და სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარით, გააჩნია კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევები; მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს, დაინტერესებულია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენით, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **3 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა)**;

კანდიდატი ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **2 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).**

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატ ივერი აბაშიძეს ვანიჭებ 90 ქულას.

ლევანი თევზაძე